საჯარო სამართლის იურიდიული პირი

## საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

## საქპატენტი

ქ. მცხეთა "18" 11 2013 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1630/03

**სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე**

2013 წლის 23 ოქტომბერს N 74434/03 განაცხადით შპს „პრიმოს" წარმომადგენელმა ბესიკ წულაძემ (მის:ალ. ყაზბეგის 2, 0179, თბილისი) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „maylo" (რეგ. N 24305) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „maylo" (რეგ. N 24305) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 18.11.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 18.11.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-16 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სასაქონლო ნიშანზე „maylo" (რეგ. N 24305) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N431), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 18.11.2013.

ასლი დედანთან სწორია
"18" "11" 2013წ.
ხელმოწერა

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „პრიმოს" წარმომადგენელს ბესიკ წულაძეს (მის:ალ. ყაზბეგის 2, 0179, თბილისი)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

Berrak

რეგისტრაციის N 24306

მფლობელი: შპს „პრიმო“

მისამართი: ალ. ყაზბეგის 2, 0179, თბილისი, საქართველო

კლასი:

16 - ქაღალდი, მუყაო და მათი ნაწარმი, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; ნაბეჭდი პროდუქცია; მასალა საამკინძაო სამუშაოებისათვის; ფოტოსურათები; საწერ-ქაღალდის საქონელი; საკანცელარიო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მწებავი ნივთიერებები; მხატვართა საკუთნო; ფუნჯები; საბეჭდი მანქანები და ოფისის საკუთნო (ავეჯის გარდა); სასწავლო მასალა და თვალსაჩინოება (აპარატურის გარდა); პლასტმასის შესაფუთი მასალა (რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს); შრიფტი; ტიპოგრაფიული კლიშე.

35 - რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში; ადმინისტრირება საქმიან სფეროში; საოფისე სამსახური. საცალო და საბითუმო ვაჭრობა; მომარაგების მომსახურება მესამე პირთათვის; საქონლის გასაღებაში ხელშეწყობა მესამე პირთათვის.